ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის პარკის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №6

ქ. თბილისი 22.10.2020 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი პაპავა – სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი).

გიგა გიგაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი).

პაატა ტოგონიძე - სატენდერო კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

საბა ფიფია - სატენდერო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

თამარ შარაშიძე - სატენდერო კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

გაიოზ თალაკვაძე - სატენდერო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი).

ვლადიმერ სირაძე - სატენდერო კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

ნელი ღვინეფაძე - სატენდერო კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

აპარატის წევრი:

ირაკლი მერებაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას არ ესრებოდნენ:

ირაკლი ბენდელიანი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

სერგო ბირკაძე - სატენდერო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის პარკის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე (სატენდერო განცხადების №**NAT200012476**) **შპს „საბა კონსტრაქშენ“**-ის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა.

განიხილეს:

სატენდერო კომისიამ განიხილა შპს „საბა კონსტრაქშენ“-ის მიერ 2020 წლის 16 ოქტომბრის ოქმი №5-ის დადგენილებითი ნაწილის პირველი პუნქტის შესაბამისად, დადგენილ ვადაში (3 სამუშაო დღე) ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით ატვირთული დაზუსტებული: 1) გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, ფორმა №2-ები, გადახდის სერთიფიკატები); 2) თანხმობა სამუშაოების წარმოების პროცესში სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №4-ით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ; 3) ბეტონის მიმწოდებლებთან (შპს „ბრავო 2008“ და შპს „ლაილა 2013“) გაფორმებული ხელშეკრულებები.

განხილვის შედეგად, აღმოჩნდა, რომ შპს „საბა კონსტრაქშენ“-ის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

1. შპს „საბა კონსტრაქშენ“-ის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არანაკლებ 4 (ოთხი) და არაუმეტეს 6 (ექვსი) სამუშაო დღის ვადაში, შპს „საბა კონსტრაქშენ“-ისთან გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.
3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებისას შპს „საბა კონსტრაქშენ“-ის მიერ წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის პარკის მოწყობის სამუშაოების დასრულების ვადას.
4. არაუგვიანეს 6 (ექვსი) სამუშაო დღის ვადაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით) წარმოუდგენლობის ან/და ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტის საფუძველზე მოხდეს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
5. აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაითვალოს პრეტენდენტისათვის შეტყობინებად და პრეტენდენტს შეტყობინება გაეგზავნოს მიმდინარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში ატვირთვის გზით. შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.
6. სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ვადების ათვლა იწყება მიმდინარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის მოდულში ატვირთვის მომდევნო დღიდან.
7. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	*/გიორგი პაპავა/*
კომისიის წევრი	*/გიგა გიგაშვილი/*
კომისიის წევრი	*/პაატა ტოგონიძე/*
კომისიის წევრი	*/საბა ფიფია/*
კომისიის წევრი	*/თამარ შარაშიძე/*
კომისიის წევრი	*/გაიოზ თალაკვაძე/*
კომისიის წევრი	*/ვლადიმერ სირაძე/*
კომისიის წევრი	*/ნელი ღვინეფაძე/*
აპარატის წევრი	*/ირაკლი მერებაშვილი/*